

საქართველოს კანონი

“სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №15, 3.06.2002 წელი, მუხ. 61) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) გაზის ოპერაციები, გაზის დამუშავება, გაზის ან/და გაზპროდუქტების ტრანსპორტირება, რომელსაც „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არეგულირებს საქართველოს „ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო“;

2. პირველი მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) ნავთობის გადამუშავება, ნავთობის, ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება (საავტომობილო ტრანსპორტით), რომელსაც „ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სფეროში ლიცენზიების გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არეგულირებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

3. მე-6 მუხლში „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) კვების (მათ შორის, ბავშვთა კვების) პროდუქტების წარმოების სფეროში:

ნ.ა) ალკოჰოლიანი სასმელებისა და ეთილის სპირტის წარმოება – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი – „სამტრესტი“;

ნ.ბ) ლუდის, უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის, მათ შორის მინერალური წყლის, სასაქონლო პროდუქციის წარმოება –

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - „საქმინხილწყალი“;

ნ.გ) ყველა სხვა სახის კვების (მათ შორის, ბავშვთა კვების) პროდუქტების წარმოება - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახური;“

4. ამოღებულ იქნეს მე-6 მუხლის „ნ“ პუნქტი.

5. მე-6 მუხლის „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობა, გაზის დამუშავება, გაზის ან/და გაზპროდუქტების ტრანსპორტირება („ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში) - საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო“;

6. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჭ“ ქვეპუნქტი:

„ჭ) „ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სფეროში ლიცენზიების გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე:

ჭ.ა) იმპორტიორის მიერ თამბაქოს ნაწარმის იმპორტი და საბითუმო მიწოდება - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანო ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

ჭ.ბ) მწარმოებლის მიერ თამბაქოს ნაწარმის წარმოება და საბითუმო მიწოდება - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანო ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

ჭ.გ) პირის მიერ (გარდა იმპორტიორისა და მწარმოებლისა) თამბაქოს ნაწარმის საბითუმო მიწოდება - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანო ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

ჭ.დ) პირის მიერ თამბაქოს ნაწარმის საცალო მიწოდება - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანო ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

ჭ.ე) იმპორტიორის მიერ ნავთობპროდუქტების იმპორტი და საბითუმო მიწოდება - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანო ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

ჭ.ვ) მწარმოებლის მიერ ნავთობპროდუქტების წარმოება და საბითუმო მიწოდება - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანო ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

ჭ.ზ) პირის მიერ (გარდა იმპორტიორისა და მწარმოებლისა) ნავთობპროდუქტების საბითუმო მიწოდება – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანო ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

ჭ.თ) პირის მიერ ნავთობპროდუქტების საცალო მიწოდება – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანო ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

ჭ.ი) ნავთობპროდუქტების გადაზიდვა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანო ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

7. მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან, გაზის დამუშავებასთან, ნავთობის, გაზის ან/და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოების ნებართვა – („ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში) საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო;“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს „ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სფეროში ლიცენზიების გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ქ.თბილისი
200 წლის " " " "
№

მიხეილ სააკაშვილი